

ქ.თბილისი

2019 წლის 15 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 15 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათანაზრად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ლევან ჩიკვაძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ჯალაღონიას ოქმი, მატჩის მსაჯების ო.მოგელაშვილის და ს. აბულაშვილის მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 9 მარტს, I ლიგის მატჩზე ბოლნისის „ყოჩები“-სა და ქუთაისის „არესი“-ის შორის, მომხდარი ფაქტების შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე, ბაბუნა კუხიანიძე - მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.
2. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე, გოგა ბზიკაძე - მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.
3. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე, ლევან რატიანი - მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა.
4. თბილისის „სტუ“-ს (რეგიონალური ლიგა) მთავარი მწვრთნელი ირაკლი გიორხელიძე - მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4. 2.2.2 2.2.4 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1 1.4 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე ბ. კუხიანიძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე გ. ბზიკაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
3. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე ლ. რატიანი დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
4. თბილისის „სტუ“-ს მწვრთნელი ი. გიორხელიძე დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
5. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 15 აპრილამდე.
6. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ქუთაისის „არესი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.
7. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2,1,19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
8. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.4 პუნქტი და კლუბ თბილისის „სტუ“-ს რეგიონალურ ლიგაში დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა. სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის შენიშვნა №2-ის თანახმად იმ შემთხვევაში თუ კლუბ თბილისის „სტუ“-ს ქულების დაკლების სისტემით სეზონის დასრულებისას დაუფიქსირდება მინუს ქულიანი შედეგი, კლუბი მომდევნო სეზონს დაიწყებს მინუს ქულიანი შედეგით, რომელ ლიგაშიც არ უნდა აღმოჩნდეს.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/